ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48220117**

თარიღი:**11/01/2022**

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის №ბ48.482132316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 4^1 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის 1^1და მე-3^1პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის №ბ48.482132316 ბრძანებაში და ამ ბრძანების დანართი („ePLAN“) დამტკიცდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას (ა. გელენიძე), დადგენილი წესით უზრუნველყოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილების რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის „ePLAN“ მოდულში.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია №2 CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი